

მამა პაისი მთაწმინდელი (ამონარიდები წიგნიდან – "სულიერი გამოღვიძება")

"წყულიძე იყოს, ვინც დაუდევრად აკეთებს უფლის საქმეს!" (იურ. 98, 10)

ძველად, თუ რომელიმე უკრძალველი ბერი დროს საერო საქმეებზე ზრუნვაში ფლანგავდა, მაშინ მას კოშკში კეტავდნენ. დღეს პირიქითაა: კრძალული ბერი უნდა გამოკეტო კოშკში, თუ იგი არ ინტერესდება და არ განიცდის იმ მდგომარეობას, რომელმაც ერში დაისადგურა. იმიტომ, რომ ადრე ისინი, ვინც ხელისუფლებაში იყო, გულით უფალს ატარებდნენ, მაშინ, როცა ახლა ბევრ მათგანს, ვინც ხელისუფლებაშია, იგი საერთოდ არ სწამს. დღეს ბევრია ისეთი, ვინც ყველაფრის: ოჯახის, ახალგაზრდობის, ეკლესიის გაყოფისაკენ მიიღოტვის. ჩვენს დროში დაინტერესება და წუხილი ვითარებაზე, რომელშიც იმყოფება ჩვენი ერი - ეს უკვე აღმსარებლობაა, რამეთუ სახელმწიფო იბრძვის საღვთო კანონის წინააღმდეგ. კანონები კი, რომელსაც ის იღებს, უფლის კანონების წინააღმდეგაა მიმართული.

იმდენად გულგრილი ადამიანებიც არსებობენ, რომ ეკლესიასაც კი არ ცნობენ საღვთო დაწესებულებად და საკუთარ ერს ქედმალლურად ეპყრობიან, მაგრამ იმისათვის, რომ თავად იზარმაცონ, ამბობენ: – "პავლე მოციქული ამბობს, რომ არ უნდა დაინტერესდე საერო საგნებით" და გულგრილნი რჩებიან. მაგრამ პავლე მოციქული სულ სხვა რამეს გულისხმობდა. მის დროს ძალაუფლება კერპთაყვანისმცემელ ერებს ჰქონდათ. ზოგიერთი კავშირს წყვეტდნენ სახელმწიფოსთან და ქრისტეს აღიარებდნენ. სწორედ ასეთ ადამიანებს ეუბნება პავლე მოციქული: "არავინ მოღვაწე შეეყოფის სოფლისა საქმეთა" (ტიმ.2,4) იმისათვის, რომ ისინი გამოყოფილიყვნენ ამქვეწიურს, რადგან მთელი ქვეყანა კერპთაყვანისმცემელი იყო. თუმცადა, იმ დროიდან, როდესაც კონსტანტინე დიდის ხელისუფლება დამყარდა და ქრისტიანობამ გაიმარჯვა, ნელ-ნელა ჩამოყალიბდა უდიდესი ქრისტიანული მემკვიდრეობა - ეკლესიებით, მონასტრებით, ხელოვნებით, ღვთისმსახურების წესებით და ა.შ. და ე. ი. ჩვენ პაუხისმგებელნი ვართ იმაზე, რომ შევინახოთ ეს ყოველივე და ის ეკლესის მტრებს არ მივცეთ დასაქუცმაცებლად. ზოგიერთი მოძღვრისგანაც კი მიხდებოდა ასეთი სიტყვების მოსმენა: - "თქვენ ამით ნუ დაკავდებით!" მათ რომ უდიდესი სიწმინდე ჰქონდათ და ლოცვით იმ მდგომარეობამდე მიეღწიათ, რომ აღარაფრით დაინტერესებულიყვნენ, მაშინ ფეხებსაც დავუკოცნიდით. მაგრამ ახლა ისინი "სულიერთიები" არიან, რადგან სურთ, ყველასთვის კარგები იყვნენ და უდარდელად იცხოვრონ. გულგრილობა ერისკაცისთვისაც კი დაუშვებელია და მით უმეტეს - სულიერი ადამიანისთვის. პატიოსანი, სულიერი ადამიანი გულგრილად არაფერს არ უნდა აკეთებდეს. "წყულიძე იყოს, ვინც დაუდევრად აკეთებს უფლის საქმეს". - ამბობს იერემია წინასწარმეტყველი. – (გვ. 8-9)

სულიერად დავეხმაროთ ხალხს

რა თქმა უნდა, მე მაქვს საშუალება, განვმარტოვდე სადმე და დავეყუდო... არავის ეცოდინება, ვინ ვარ, მექნება საკუთარი განაწესი – როგორც თავად მსურს – ბერული ცხოვრება. მაგრამ იცი, დემობილიზაცია მხოლოდ ომის შემდეგ ხდება. ახლა კი ომია, სულიერი ომი. მე წინახაზზე უნდა ვიყო. უამრავი მარქსისტი, უამრავი მასონი, უმარავი სექტანტი და სხვა დანარჩენია ირგვლივ!.. თქვენ რომ იცოდეთ, როგორ და რამდენი მხრიდან მავიწროვებენ?! ადამიანთა სატკივარით პირში ნაღველი გამიჩნდა. მაგრამ შინაგანად ნუგეშს ვგრძნობ. რომ წავიდე, თვითონვე ჩავთვლი, რომ წავედი წინა ხაზიდან, რომ უკან დავიხიე, ამას მოღალატეობად მივიჩნევ. მე ეს ასე მესმის. განა ეს მინდოდა,

როდესაც მოღვაწეობას ვიწყებდი... მე რომ იმაზე ვფიქრობდე, თავად როგორ მოვეწყო, მაშინ ბევრ ადგილას მოვეწყობოდი. მაგრამ იმისათვის, რომ უფლის სამსჯავროში შეაღწიო, ღვთისგან არჩეული "დეპუტატი" უნდა გახდე და საკუთარი თავისთვის თბილი ადგილის მოწყობას არ უნდა ცდილობდე. — (გვ. 11)

გულგრილი თაობა

...ნელ-თბილობის სულს ვაჟკაცობა საერთოდ არა აქვს! ჩვენ საბოლოოდ გავფუჭდით! ნეტავ კიდევ როგორ გვითმენს უფალი?..

როდესაც თურქეთის თვითმფრინავებმა საზღვარი დაარღვიეს, ერთი მფრინავი შეეცადა, მათვის ოდნავ გადაესწრო, რათა ფოტოსურათი გადაეღო იმის დასამტკიცებლად, რომ მტრებმა საზღვარი დაარღვიეს. მეორე პილოტი მას უყვიროდა: — თავი დაანებე!" — მაგრამ მან დაიუინა და დაედევნა. თურქეთის თვითმფრინავი ჰყავდა და უფრო სწრაფადაც ფრინავდა, თვითმფრინავიც ძალიან დაბლა დაჰყავდა, ისე რომ, საწყალი ბერძენი ზღვაში ჩაფრინდა! მაგრამ ამის გვერდით არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც თვითმფრინავით მხოლოდ დასეირობენ! აი, როგორ განსხვავდებიან ადამიანები ერთმანეთისგან!

ადამიანისთვის აუცილებელია შევიდეს სიკეთის არსები, შეიგრძნოს მისი აუცილებლობა, სხვაგვარად ერთი მთლიანი გულგრილობა იარსებებს. სცადე, ვინმე ძალდატანებით გაუშვი საბრძოლველად! იგი შეეცდება, გამოიქცეს იქედან ან აქედანვე გაძვრეს! თუმცა, როცა მიხვდება, რაოდენი ბოროტება მოაქვს მტერს, იგი შემდეგ თავად წავა და მოხალისედ ჩაეწერება! — (გვ. 13, 15)

ჩვენც პასუხისმგებელნი გართ

ჩემთან სენაკში მოვიდა ერთი თავიდან ფეხებამდე ათეისტი. ათასგვარი რამ ილაპარაკა და შემდეგ აცხადებს: — "მე ხატმებრძოლი ვარ". და აი, ასე: დაიწყო იმით, რომ არაფერი სწამდა და მივიდა ხატმებრძოლობამდე! — "ჰეი, შენ, ვუძნები, — უღმერთოვ, თუ არაფრის გწამს, მაშინ რატომ მეუბნები, რომ ხატმებრძოლი ხარ?!.. აბა, წადი აქედან!" მე იგი გავაგდე.

— წმინდაო მამაო, არ გეშინიათ ასე რომ ლაპარაკობთ?

— რისი უნდა მეშინოდეს? სამარე ჩემთვის უკვე გავითხარე. რომ არ გამეთხარა, მაშინ ალბათ ვიღაც სხვას მოუწევდა ძალის დახარჯვა და თხრა. ახლა კი მხოლოდ ორი მუჭა მიწის მიყრალა საჭირო...

ვიცნობ კიდევ ერთ უღმერთოს, მემობელს, რომელიც ტელევიზით გამოჰყავთ, მიუხედავად იმისა, რომ იგი ყველაზე მემობელ სიტყვებს წარმოთქვამს ქრისტესა და ღვთისმშობელზე, ეკლესია დუმს და არ განკვეთს ასეთებს. მისი განკვეთა განა ცოდვაა?

— წმინდაო მამაო, მაშინ რაღას მიხვდებიან, რომ განიკვეთონ, ისინი ხომ მაინც არაფერს აღიარებენ?

— უკიდურეს შემთხვევაში ნათელი გახდება, რომ ეკლესია თავის აზრს გამოთქვამს.

— მდუმარება, წმინდაო მამაო, ეს იგივეა, რომ აღიარო ასეთი რამ?

— დიახ. ერთმა რაღაც საგმობი დაწერა ღვთისმშობელზე და ყველა დუმდა. ერთს ვეუბნები: "აბა, ხედავ, რას წერს მავანი?" — "ეჱ, — ამბობს იგი, — რას უზამ? მას თუ უპასუხებ, დაისვრები". ეშინია თქმის.

— რისი შეეშინდა წმინდაო მამაო?

— ეშინია, რომ მასზე არაფერი დაწერონ. რათა საქვეყნოდ არ გამოაჭენონ და ამიტომ ღვთისმშობლის გმობას ითმენს! მოდით, ნუღარ დავიცდით, ვიდრე ვინმე სხვა ამოათრევს

გველს ხვრელიდან, რათა ჩვენ სიმშვიდეში დავრჩეთ. ეს სიყვარულის ნაკლებობაა. ამიტომ ამოძრავებს ადამიანს ანგარება. ამიტომაცაა ახლა გავრცელებული ასეთი სული: – "მოდით, მავანთან კარგ ურთიერთობაში ვიყოთ, რათა მან ჩვენ შეგვაქოს. ხოლო ვიღაცასთან ვიმეგობროთ, რათა მან არ შეგვარცხვინოს, რათა სულელებად არ გვთვლიდნენ, რათა ჩვენ არ გავხდეთ მსხვერპლი!" ვიღაც კი გულგრილობის გამო დუმს: "გავჩუმდები, – ფიქრობს ოგი, – რათა ჩემზე გაზუთებში არ დაწერონ"...

ცუდი ისაა, რომ ის ადამიანებიც კი, რომლებსაც შიგნით რაღაც ჰქონდათ, გულგრილნი ხდებიან და ამბობენ: "განა მე შევძლებ მდგომარეობის შეცვლას?"...

ამ მძიმე წლებში თითოეულმა ჩვენგანმა უნდა აკეთოს ის, რაც ადამიანისთვისაა შესაძლებელი. ხოლო ის, რაც ადამიანისთვის შეუძლებელია, უფლის ნებას უნდა მივანდოთ. ასე ჩვენი სინდისი მშვიდად იქნება, რაღგან ჩვენ ვაკეთებდით იმას, რაც შეგვეძლო. თუ წინ არ აღვადგებით, მაშინ საფლავიდან აღდგებიან ჩვენი წინაპრები, მათ ხომ იმდენი იტანჯეს მამულისათვის. ხოლო რას ვაკეთებთ ჩვენ მისთვის? (გვ. 18-20)

ქრისტიანის ყოფნა უკვე რწმენის აღმსარებლობაა

– წმინდაო მამაო, რა სიკეთის გაკეთება შეუძლია ქრისტიანის სხვადასხვაგვარი საპროტესტო მოძრაობების დროს?

– თავად ქრისტიანის ყოფნა იქ, ეს უკვე რწმენის აღმსარებლობაა. შესაძლოა, ვიღაც უფრო მეტად დაეხმარებოდა ლოცვით, მაგრამ მის დუმილს გამოიყენებენ და იტყვიან: - "მავანმა და მავანმა არ გამოხატა პროტესტი, შესაბამისად, იგი ჩვენს მხარესაა, ისინი გვეთანხმებიან". თუ ვინმე ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლას არ იწყებს – ე.ო. არ დაიწყებს მხილებას, ვინც მორწმუნებებს აცდუნებს, ბოროტება კიდევ უფრო გაიზრდება. ამით კი მართალი მცირედით მხნევლებიან. მართლაც, ვინც ებრძვის ეკლესის, გაუჭირდება. ეკლესია მათვის სასეირნო კატერი არაა, იგი ქრისტეს ხომალდია, ეს ადამიანები სასჯელს იმსახურებენ... რა თქმა უნდა, უფალი არ დაუშვებს ბოროტების გამარჯვებას, მაგრამ ახლა ამაზე არ ვსაუბრობთ...

ისინი ღვთისმგმობელ ფილმებსაც იმიტომ უშვებენ, რომ ქრისტე შეურაცხყონ. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ თქვან: – "შეხედეთ როგორი იყო ქრისტე! მესია მოვა ახლა!" – და შემდეგ გამოაჩენენ თავიანთ "მესიას", აქეთკენ მიჰყავთ მათ საქმე... მაგრამ რა თქმა უნდა, მთელი ამ ღვთისგმობიდანაც რაღაც კარგი ხდება. ღვარძლი გამოირჩევა ხორბლისაგან, მსოფლიო იცრება საცერში. – (გვ. 26-27)

ხალხი ცდილობს, მთიძნოს

ახლა ვამბობთ, რომ მართლმადიდებლები ვართ. თუმცადა, სამწუხაროდ, ხშირად მხოლოდ მართლმადიდებლის სახელს ვატარებთ და მართლმადიდებლური ცხოვრებით არ ვცხოვრობთ. ერთ მოძღვარს, რომელიც საზოგადოებრივი საქმიანობით იყო დაკავებული, ვკითხე: "იცი, რამე ღვთისმგმობელ ფილმზე?" მან მიპასუხა: – "არაფერი ვიცი". არაფერი იცოდა, არადა თავად დიდ ქალაქში მსახურობდა. ისინი ხალხს აძინებენ, ტოვებენ მას ისე, როგორც არის, რათა მან არ ინერვიულოს და გაერთოს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა თქვა, რომ ომი ან მეორედ მოსვლა იქნება და ამისთვის უნდა ვემზადებოდეთ, ვათუ ხალხი განერვიულდეს..! სხვები არასწორად გაგებული სიკეთით ამბობენ: – "არ უთხრათ ერეტიკოსებს, რომ ისინი ხიბლში იმყოფებიან, რათა დავანახოთ ჩვენი სიყვარული". და ასე ათანაბრებენ ყველაფერს. მათ რომ ქრისტიანობის პირველ წლებში უცხოვრათ, ჩვენ არცერთი წმინდანი არ გვეყოლებოდა! – (გვ. 27-28)

მავალითი თავად მეტყველებს საკუთარ თავზე

ქრისტიანები სულიერი მამაცობითა და ღირსეულობით, თავგანწირვით უნდა გამოირჩეოდნენ. ამიტომ ვეუბნები ერისკაცებს: — "გიყვარდეთ ქრისტე, გქონდეთ თავმდაბლობა, აღასრულეთ თქვენი ვალი და ქრისტე განაცხადებს თქვენს კეთილ საქმეებს ხალხში". სათნოებას ერთი წესი აქვს: გათქვას ადამიანი, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი. თუნდაც იგი ქრისტესთვის სალოსობას უფარებოდეს და მისი საშუალებით იმალებოდეს. გასცემს მას — მოგვიანებით მაინც და მის მიერ დაგროვილი საგანძური, რომელიც უკვე მთელი სისაგვით გაიხსნება ყველას თვალწინ, კიდევ ერთხელ დაეხმარება უამრავ სულს და შეიძლება, იგი მათ კიდევ უფრო მეტად შეეწიოს. — (გვ. 32)

მართლის დაცვა

როდესაც სულიერი ადამიანი აღშფოთებული მიიღოთვის, დაიცვას საკუთარი თავი რაიმე პირად საკითხთან დაკავშირებით, ეს მთლიანად ეგოისტურია, ეს ეშმაკის მოქმედებაა. ასეთი ადამიანი გარედანვე ემორჩილება ეშმაკის ზემოქმედებას. თუ ვინმეს აწყენინებენ ან ვინმეს დასცინიან, მას უნდა იცავდნენ სხვები; სამართლიანობის გამო დაიცვან და არა — პირადი სარგებლისათვის. ღმერთმა ნუ ქნას, საკუთარი თავისთვის იჩხუბო! სხვა საქმეა, წინ აღუდე მაწყენართ, რათა დაიცვა სერიოზული სულიერი საკითხები, ის, რაც ეხება ჩვენს რწმენას, მართლმადიდებლობას. ეს შენი ვალია. სხვებზე იფიქრო და წინააღმდევობა გაუწიო იმისათვის, რომ ისინი დაიცვა, რადგან ეს სიყვარულით კეთდება.

(გვ. 34)

ენაბილწობის საწინააღმდევოდ

— ის კი არა, როდესაც ვიღაც ადამიანს შეურაცხყოფენ, ჩვენ მისი დაცვა გვმართებს, და მითუმეტეს — ქრისტესი! ერთხელ ჩემთან სენაკში მოვიდა ერთი ბიჭუნა — იგი კოჭლობდა, მაგრამ სახე განათებული ქონდა. "აქ, საქმე მთლად უბრალოდ არაა, რახან ასე აცისკროვნებს საღვთო მადლი!" ვიფიქრე მე და ვკითხე მისი ამბავი. მან მიამბო, თუ რა დაემართა: ერთი უზარმაზარი პირულყვი, თავს რომ ჰერს ურტამდა, ქრისტესა და ღვთისმშობელს გმობდა, ბიჭი გასაჩუმებლად მივარდა, ამ მხეცმა კი ძირს დასცა, ფეხით გათელა და ფეხებიც დაუსახირა. ამის გამო საწყალი დაკოჭლდა. აღმსარებელი! და რას უძლებდნენ აღმსარებელი და მარტვილი! — (გვ. 38)

რასაც არ უნდა აკეთებდეს ადამიანი, ივი ამას ღვთისათვის უნდა აკეთებდეს

ვიდრე რაიმეს გააკეთებდეს, ადამიანმა საკუთარ თავს უნდა ჰქითხოს: — "კარგი, ვთქვათ, მე მომწონს, რასაც ვაკეთებ, მაგრამ ღმერთს თუ მოეწონება?"... ადამიანის ყოველი მოქმედების გულისგული ქრისტე უნდა იყოს. თუ რაღაცას იმ მიზნით ვაკეთებთ, რომ ადამიანებს მოვეწონოთ, ეს არანაირ სარგებლობას არ მოგვიტანს. დიდი ყურადღებაა საჭირო. აუცილებელია, გამუდმებით ვიკვლევდეთ, რა მიზეზები უდევს საფუძვლად ჩვენს ქმედებას...

თუკი ვინმე ვითომდა მართლმადიდებლურად ცდილობს, უკლესიის პრობლემები მოაწესრიგოს, მისი ჭეშმარიტი მიზანი კი საკუთარი თავის "მოწესრიგებაა," ანუ — პირადი გამორჩენა, ასეთი ადამიანი რანაირად იქნება ღვთისგან კურთხეული?! საჭიროა, რამდენადაც შესაძლებელია, საკუთარი ცხოვრება ისეთი გახადო, რომ ღმერთს დაუახლოვდე. გამუდმებით უნდა ამხელდე საკუთარ თავს და ღვთის ნების შესრულებას ცდილობდე. ღვთის ნების აღსრულებით ადამიანი ღმერთს უნათესავდება და მაშინ მუდამ ღვთის წყაროდან იღებს წყალს. — (გვ. 60-61)

საღმრთო განათლება – ეს ყველაფერია

იმისათვის, რომ სინათლე მოვიდეს, წყვდიადიდან გამოსვლის სურვილი უნდა გვქონდეს. ქვეყანაზე მთელი ბოროტება მოდის იქედან, რომ საღმრთო განათლება არ არის, როდესაც არ არის საღმრთო განათლება, ადამიანი წყვდიადში იმყოფება. მაშინ ერთი ამბობს: "აქ წავიდეთ." მეორე: "არა, მე კარგად ვიცი, სჯობს, იქ წავიდეთ." მესამეს კიდევ სულ სხვაგან სურს, მეოთხეს – კიდევ სხვაგან, თითოეული თვლის, რომ სწორედ იქ წასვლაა მართებული, სადაც თვითონ სურს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველას კარგი უნდა, მაგრამ წარმოიშობა ბუნდოვანება და ურთიერთგაგებას ვერ ახერხებენ... იმის თქმა მინდა, რომ კეთილგანწყობილი ბევრია, მაგრამ ბუნდოვანების გამო საზოგადოებაშიც და ეკლესიაშიც ბევრი პრობლემა იქმნება. ყოველ შემთხვევაში უძრავლესობას – ეკლესიაში ბოროტი ზრახვები არა აქვს, მაგრამ საღმრთო განათლება არ არის...

განანათლოს ღმერთმა ყველა მმართველი, შემდეგ განანათლოს ყველა მღვდელმთავარი და ეკლესიის მამები, მიიღონ მათ სულიწმიდა, რათა შეეწეოდნენ სამყაროს. (გვ. 65)

"თაყვანისძცემელი ჭეშმარიტებითა"

ბევრი ჩამოდის წმიდა მთაზე, სტუმრობენ სხვადასხვა მამებს, აღფრთოვანდებიან სიტყვებით, რომელსაც მათგან მოისმენენ... მაგრამ, მათ რომ ერთი მამა მოენახულებინათ, მისთვის რჩევა ეკითხათ და მისი ნათქვამის შესრულება ეცადათ, ნამდვილად მიიღებდნენ შეწევნას. იმას, რასაც ისინი ამჟამად აკეთებენ, "სულიერი ტურიზმი" ჰქვია. ისინი დროს კარგავენ, უმიზნოდ იტანჯებიან და სარგებელს ვერ პოულობენ. მაგრამ რა ადვილი იქნებოდა, ერთი მოძღვარი რომ ჰყავდეთ და ასრულებდნენ იმას, რასაც მისგან გაიგონებენ! (გვ. 78)

ძმური ურთიერთობები

ერთმანეთში მეგობრობა და თანხმობა იქონიეთ, სულიერად მომზადებულები და მამაცები იყავით, იყავით ერთი სხეული და ნურაფრისა შეგეშინდებათ. ღმერთი შეგეწევათ, მოიხვეჭეთ სულიერი სიყვარული, ისეთი, როგორსაც დედა განიცდის შვილისადმი. დაე, თქვენს შორის ძმური ურთიერთობა იყოს, დაე, თქვენში მსხვერპლის გაღების სული ცხოვრობდეს. ხოლო მძიმე წლებს რამწაირად გადავიტანთ... რაც არ უნდა სულიერად ცხოვრობდე, კეთილი წრე ახლობლებისა მაინც აუცილებელია (განსაკუთრებით – ჩვენს დროში). კეთილ ადამიანებთან ურთიერთობა ძალიან (თვით სასულიერო ლიტერატურის კითხვაზე მეტად) ეხმარება ქრისტიანს, იმიტომ, რომ სულიერი კავშირის ეს სიხარული მასში სულიერი მოღვაწეობის საღვთო შურს აღძრავს...

მძიმე წლებში ძალიან ძლიერი ძმური ურთიერთობი ყალიბდება... ამჟამად ჩვენ ეშმაკს ვებრძვით, ამიტომ შევეცადოთ, რომ კიდევ უფრო შევკავშირდეთ, უფრო მეტად ვემმოთ ერთმანეთს. ასე – ერთად ვიაროთ ჩვენს მიერ არჩეული გზით. ერთად ავიდეთ ტკბილ გოლგოთაზე დაგრეხილი ბილიკებით. - (გვ. 93,96)

მორწმუნე ადამიანისათვის მოწამეობა დღესასწაულია

ერში ადამიანები ყველგან შევიწროვებულნი და დაშინებულნი არიან. მაგრამ რისი გეშინია, როცა ქრისტესთან ახლოს ხარ? გახსოვთ წმინდა კვირიკე? სამი წლის იყო, როცა ტირანს, რომელსაც მისი „განათლება“ სურდა, პანდური ჰქრა... ეს ცხოვრება იმისთვის არაა, რომ რაც შეიძლება თბილად მოვეწყოთ. თუ სიკვდილია, მოვკვდეთ ოღონდ, მოდით, მოვკვდეთ ისე, როგორც საჭიროა! თუკი სხვას მაინც არაურს გააქთებთ და უფალი მოწამეობას გვაღირსებს, განა ეს ცუდი იქნება? (გვ. 193)

ვინც სასიკვდილოდ გადასდო თავი, მას არაფრის ეშინია

ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საპატრიარქოს ერთი ეპისკოპოსის მონათხრობმა. თავიდან მე ვეუბნებოდი მას: – ”აბა, რა არის ეს საქმე? ერთი მხრივ, მოდის ეკუმენიზმი, მეორე მხრივ, კი – სიონიზმი, სატანიზმი. მალე ორთავიანი არწივის ნაცვლად ორრქიან ეშმაკს სცემენ თაყვანს“. – ”დღეს – მიპასუხა მან, – ადვილი არაა ისეთი ეპისკოპოსის ნახვა, როგორიც პაისი II, კესარიელი ეპისკოპოსი იყო“. რას აკეთებდა პაისი II როდესაც სულთანთან სათხოვარზე მიდიოდა, წელზე თოკს შემოიჭერდა, ანუ მას წინასწარ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ თურქები ჩამოახრჩობდნენ. ამით თითქოს ეუბნებოდა სულთანს: ”ნუ ეძებ თოკს და დროს ნუ კარგავ. თუ ჩემი ჩამოხრჩობა გსურს, თოკი მზადაა“. მას სულთანთან რთული საკითხების გამო აგზავნიდნენ და ხშირად რთული სიტუაციიდან გამოუხსნია საპატრიარქო. როდესაც მოხუცდა და სულთანთან ჩასვლა აუცილებელი იყო, ცხენის უნაგირზე გადაკიდებდნენ ხოლმე ორ დიდ კალათს, რომელიც ერთმანეთზე იყო გადაბმული. ერთს დატვირთავდნენ, მეორეში კი პაისი II ჩასვამდნენ და ასე მიემგზავრებოდა კონსტანტინოპოლიში... მიტროპოლიტი პაისი თურქებს ისე ატრიალებდა, როგორც სურდა. ეს იმიტომ, რომ იგი სიკვდილზე მიდიოდა. და თუ სიკვდილზე არ წახვალ, ვერაფერს მიაღწევ. ყველაფერი აქედან იწყება.

**მასალა გამოსაცემად მოამზადა
წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახ. მართლმადიდებელი მრევლის კავშირმა**

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე (ოქროპირიძე)

„ვისაც შიშისა, ხათრისა, სირცხვილისა, მოფერებისა და სხვა რომელიმე გარემოების მიხედულობით ერიდება სარწმუნოებისათვის თავის გამოდება, სარწმუნოების დაცვა, ვინც შესაძლოდ თვლის გაჩუმდეს, მოითმინოს, ხმა არ აღიმაღლოს, იმ დროს, როდესაც მის სარწმუნოებას ამცირებენ, ლანძღავენ, შეურაცხყოფენ, და გმობენ, ის უარყოფს მაცხოვარს წინაშე კაცთა“.

წმ. მღვდელმთავარი ნიკოლოზ სერბი (ველიმიროვიჩი)

თქვენ მზად ხართ უღალატო წინაპართა რწმენას და ”რელიგიური ბაბილონის“ – ეკუმენიზმის აპოლოგეტებს გაპყვეთ, რადგან ისინი წიგნებს უფასოდ არიგებენ და თავიანთ წევრებს ფულით ეხმარებიან. მაგრამ რატომ არ დაეკითხებით საკუთარ თავს: ვის ხარჯზე გასცემენ ისინი თანხებს და გამოსცემენ წიგნებს – საკუთარი თუ სხვისა? აშკარაა, რომ არა – საკუთარი... დიახ, აშკარაა რომ ადამიანთა სულებს უცხოთა ფულებით ყიდულობენ და ცნობილია, თითოეული მათგანი თავისი ბატონებისგან ჯილდოს ღებულობს. ქრისტეს გამო კი არ გასცემენ, არამედ საკუთარი მოგების მიზნით. მათ სარწმუნოება ვაჭრობად გადააქციეს. თქვენ კი მზად ხართ, რომ საქონელი გახდეთ.

იცოდე, ასეთია ერეტიკოსთა და მწვალებელთა ჩვეულება – გარეგნულად თავი მართლმადედებლებზე მოწყალებად მოაჩვენონ. თვით ივლიანე განდგომილი, რომელიც ქრისტეს განუდგა და წარმართი გახდა, უხვად არიგებდა მოწყალებას და ტრაბახობდა, რომ ქრისტიანებზე მოწყალე იყო. მაგრამ ქრისტიანებს ივლიანეს მოწყალება არ აუღიათ, რადგანაც მას უწმინდეულად მიიჩნევდნენ. გეშინოდეთ სექტანტების, საჩუქრები რომ მოაქვთ, გაერიდეთ მათ ცეცხლის მსგავსად. ისინი მატერიალურს იძლევიან, რათა სულიერი

წაგვართვან: უფასო ბროშურებით გვირყვნიან სინდისს, ნასუფრალით ხალხში განხეთქილებას იწვევენ და ერთმორწმუნეთ ძმებისაგან განაშორებენ.

ჭეშმარიტად, უგუნურებაა ყოველგვარი სიბრძნე, რომელიც შორსაა ცხოველსმყოფელი ერთარსი ღვთისგან. კაცობრივი სიბრძნის ნაკლულევანების შეცნობა ერთადერთი საშუალებაა იმისა, რომ გავხდეთ ბრძენი ქრისტეში.

სახარებისეული სათოვებანი – ეს შეურყეველი კედელია, რომელზეც იმსხვრევა უსინდისოთა ბედნიერება

”ოდესლაც ქრისტემ სოლომონის ტაძრიდან შოლტით გამოყარა მოვაჭრები და ავაზაკები: ”აღიღეთ ესე ამიერ და ნუ ჰყოფთ სახლსა მამისა ჩემისასა სახლს სავაჭრო“. მაგრამ ქრისტემ შოლტი აღმართა არა მხოლოდ იერუსალიმის ტაძრის მოვაჭრებზე, არამედ სიწმინდით მოვაჭრე ყველა ადამიანზე, რა ფორმითაც არ უნდა აკეთებდეს იგი ამას... მაგრამ ქრისტე აღმართავდა შოლტს მათ წინააღმდეგაც, ვინც კანონის სიწმინდით ვაჭრობს, რომლებიც თავიანთ ტაძარში – პარლამენტში, არა კანონმდებლობისათვის, არამედ მხოლოდ ეგოისტური მიზნების მისაღწევად მიღიან. უნდა ნახოთ ისინი არჩენების მოახლოვებისას, როდესაც თითოეული მათგანი უბრალო ადამიანად გვაჩვენებს თავს, არადა მსახიობთა მსგავსად დაუმახსოვრებია როლები, დაუჯერებელ კომედიას თამაშობს, რომელშიც ჩვენც გვითრევს. დააკვირდით, არჩევნების მოახლოვებისას, ჩვენი ერის ცხოვრება რაოდენ უფრო კომიკური – არა, უფრო ტრაგიკული ხდება, რა სწრაფად კარგავს იგი რეალობას და სპექტაკლად გადაიქცევა. აი, ეს მოთამაშე ადამიანები გამოდიან ქუჩებში და ხმამაღლა გაიძახიან: ”ჩვენ საუკეთესონი ვართ, აგვირჩიეთ ჩვენ!“... მმანო, რომელი თქვენგანი გაბედავს და ყველას წინაშე იტყვის: ”მე ყველაზე უკეთესი ვარ!“ რა თქმა უნდა, ვერც ერთი. იქნებ თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ”საუკეთესონი“ მართლაც ხალხისთვის ზრუნავებ? ცდებით! ისინი მოვიღწენ არა კარგი კანონების მისაღებად, არამედ სავაჭროდ. მაგრამ ზიზღით ნუ შესცერით კანონმდებლობის ტაძარს, რამეთუ იგი საერო სიწმინდეა. ნუ შეიძულებთ მრავალრიცხოვან მოვაჭრეთა გამო. გწამდეთ მხოლოდ, რომ ქრისტე დღესაც აღმართავდა თავის შოლტს მათ წინააღმდეგ, ისევე, როგორც ოდესლაც ცრუ იერუსალიმელ კანონმდებლებზე აღმართა. მმანო, ივაჭრეთ საქონლით და არა ჭეშმარიტებით, რადგან თუ ჭეშმარიტებით ვაჭრობს დაიწყებთ, ქრისტე თქვენს წინააღმდეგ იქნება, ხოლო როდესაც ქრისტეა თქვენს წინააღმდეგ, მაშინ თქვენსკენ იუდაა. ვის აირჩევდით მოკავშირედ: ქრისტეს თუ იუდას? მე გთავაზობთ ქრისტეს“.

წმ. მღვდელმთავარი ნიკოლოზ სერბი (ველიმიროვიჩი):

”ქრისტეს ეკლესიას უფრო მძიმე დროც დადგომია, მაგრამ მეომრები სულით არ დაცემულან და ბრძოლა არ წაუგიათ. წაიკითხე წმ. ბასილი დიდი, რა ხდებოდა მაშინ ეკლესიასა და ქვეყნის ზურგზე – უკუნი ღმერდებულებულ კანონმდებლებზე აღმართა. მმანო, ივაჭრეთ საქონლით და არა ჭეშმარიტებით, რადგან თუ ჭეშმარიტებით ვაჭრობს დაიწყებთ, ქრისტე თქვენს წინააღმდეგ იქნება, ხოლო როდესაც ქრისტეა თქვენს წინააღმდეგ, მაშინ თქვენსკენ იუდაა. ვის აირჩევდით მოკავშირედ: ქრისტეს თუ იუდას? მე გთავაზობთ ქრისტეს“.

”გაიხსენეთ იულიანე განდგომილი, რომელიც ქრისტეს ეკლესიის წინააღმდეგ ომს წარმართავდა, შეიარაღებული ყოველგვარი მიწიერი იარაღითა და სამეფო ხელისუფლებით. განა შეუშინდნენ მას ბასილი დიდი და ათანასე დიდი? ისინი ეკლესიისგან განდგომილ მეფეს მოახლოვებულ და სამარცხვინო სიკვდილს უწინასწარმეტყველებდნენ. ”გადაივლის ეს ღრუბელი!“ ეუბნებოდა წმ. ათანასე თავის მრევლს. და გადაიარა კიდეც. ისევე,

როგორც გადაივლის უღვთობის ყველა ღრუბელი. ღრუბელსა და ნისლს პეტრე მოციქულის სიტყვებით, ქარი წაიღებს. (იხ. 2 პეტ. 2,17)...

განა შეარყევენ მას ფუჭი დაპირებები მიწაზე ზოოლოგიური სამოთხის შესახებ?! დაპირებანი იმ უბედურთა რომელნიც საკუთარი ხალხის უდიდეს სულს მოწყვეტილნი, გაემგზავრნენ დასავლეთში უსულოთაგან სული რომ ეყიდათ? მათ იგი იყიდეს, ოლონდ - მკვდარი. ნუთუ ცოცხლები შეუშინდებან მკვდარს? რა თქმა უნდა არა?“. – იქვე გვ. 147-148;

”თქვენ რაღაც ცოტა შეშინდით! წაიკითხეთ იოანე მოციქულის გამოცხადება და შიშმა შეგიპყროთ. გეჩვენებათ, რომ იქ აღწერილი ყველა საშინელება ჩვენს დროს განეკუთვნება. ვიღაცამ განგიმარტათ, რომ ყველა ის მრისხანე გველი და მხეცი უპვე მოევლინენ სამყაროს: წითელი გველი სოციალიზმის სახით, ათრქიანი შავი მხეცი ერესის სახით და ყველა ამ ურჩხულმა ქრისტიანობას ომი გამოუცხადა.

ეს რომ მართლაც ასე იყოს, ძმანო ჩემნო, ჩვენს დროში კიდეც რომ აღეძრა ჯოჯოხეთს მოელი თავისი მხედრობა ქრისტეს წინააღმდეგ, ჰეშმარიტი ქრისტიანები ვალდებულნი არიან, უშიშრად იცქირონ პირდაპირ მტკიცე რწმენით და სასოებით ერთიანისა და დაუმარცხებელისადმი. ანა არ უწინასწარმეტყველა უფალმა თავის მემკვიდრეებს, როდესაც ისინი ერთი მუჭანი იყვნენ უშველებელ რომის იმპერიაში: ”ნუ გეშინინ მცირესა მაგას სამწყსოსა, რამეთუ სათხო-იყო მამამან თქუენმან ზეცათამან მოცემად თქუენდა სასუფეველი“? (ლუკ. 12,32) და ეს წინასწარმეტყველური სიტყვები აღსრულდნენ. ქრისტეს მექავიდრეებმა დაამარცხეს რომის სახელმწიფო და სხვა მრავალი მიწიერი სამეფოები, მოიხვეჭეს ამით ყველაზე მთავარი სამეფო – ზეციური.

ვფიქრობ, რომ აპოკალიფსი წიგნია, წინასწარმეტყველური მნიშვნელობა რომ აქვს ყველა თაობის ქრისტიანთაოვის დროთა დასასრულამდე. ამიტომ ყოველი თაობა მის აზრს თავის დროსთან მიასადაგებს. რამეთუ ყოველ დროში ქრისტეს რწმენის წინააღმდეგ ამ დროის გველი წამოყოფდა ხოლ-მე თავს. ყოველგვარი უღმერთო მიწიერი იარაღით შეაბჯრული ეს გველი თავს აღმართავდა, აიქოჩებოდა, სისინებდა, შხაშს ანთხევდა, მაგრამ საბოლოოდ სკდებოდა და მტკრად განიბნეოდა და ყოველთვის ყოვლისშემ-ძლე ქრისტე ყველა აპოკალიფსურ ურჩხულზე გამარჯვებული გამოდიოდა.

ასე გახლდათ ყველა საუკუნეში, ასე იქნება უკანასკნელ საუკუნეშიც, უფლის სამსჯავროს წინ. ყურადღებით წაიკითხე, რას ამბობს აპოკალიფსის წინასწარმჭვრეტელი: ყველა მხეცი და გველი, ყველა ცრუ აღდგება კრავის წინააღმდეგ და კრავი დაამარცხებს მათ. რადგანაც კრავი – მეფეთა მეფე და ბატონთა ბატონია.

კიდევ რა გსურთ თქვენ, გარდა ქრისტეს გამარჯვების ამ საწინდარისა? რადგანაც ის კრავი - ქრისტეა. მიწიერ ომებში, ქონებისა დაძალაუფლები-სათვის რომ იმართება, არასდროს წინასწარ არაა ცნობილი, თუ ვინ გაიმარჯვებს, და მაინც მრავალი მებრძოლი, ორივე მეომარი მხრიდან იბრძვის მამაცურად და იმედით. ჩვენ კი სულიერ ომს ვეწევით, რომელ-შიაც წინასწარ, თვით ღმერთის მიერ გამარჯვება გვაქვს ნაწინასწარმეტყველები და დამტკიცებულია უძლეველი ქრისტეს მრავალი და მრავალი წინა გამარჯვებით ყველა სიცრუის მოციქულსა და წყვდიადის ბინადარზე.

უკანასკნელია კი ახლანდელი საუკუნე? ვინ უწყის ეს? რამეთუ მან სთქვა: ”ზოლო დღისა მისთვის და უამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცისათა, გარნა მამამან მხოლომან“ (მათ. 24, 36). უკანასკნელია კი ეს ბრძოლა ქრისტეს წინააღმდეგ? და რომც იყოს უკანასკნელი! ზუსტად ამიტომაც გავიხაროთ და ვიმსიარულოთ! თუნდაც ეს უკანასკნელი ომი იყოს ყველაზე სასტიკი, ის იქნება მომასწავებელი კრავის უკანასკნელი

საბოლოო და დიდებული გამარჯვებისა. ქრისტიანთაგან რომელს არ ჰქონია სურვილი მთელი გულით გამხდარიყო მონაწილე ამ გამარჯვებისა გამარჯვებათა შორის?!

ნუ გეშინიათ! ქრისტეს სჯულის გამარჯვება უფრო მტკიცეა, ვიდრე სამყაროს საფუძველი. იგი თავისი ნებით გადასწევს საბოლოო გამარჯვების დღეს; იქნებ იმისათვის, რომ რაც შეიძლება ბევრამა ადამიამა ზეცაში და მიწაზე შესძლოს იხილოს იგი და რაც შეიძლება მეტმა გულმა შესძლოს გაიხაროს მისით“. იქვე – გვ. 195-196

წმ. თეოფანე დაყუდებული

”ყოველი შენი ქმედება და ყოველი ნაბიჯი ისე აღასრულე, როგორც სახარებისეული კანონი ბრძანებს და სოფელში ისე იცხოვრებ, როგორც უდაბნოში... სოფელს ცვალებათა საკუთარი წესი ექნება, შენ კი - შენი წესრიგი. ის თეატრში წავა, შენ - ეკლესიაში; ის იცეკვებს, შენ მეტანიებს გააკეთებ; ის სასეირნოდ იქნება, შენ კი - სახლში, განმარტოებით; ის უქმადმეტყველებასა და სიცილ-ხარხარში იქნება, შენ კი – დუმილსა და უფლის ქებაში; ის სიამტკბილობაში იქნება, შენ - შრომაში; ის უსარგებლო რომანების კითხვაში იქნება, შენ - საღმრთო წერილისა და მამათა სწავლებების კითხვაში; ის მეჯლისებზე იქნება, ხოლო შენ - თანამოაზრებთან ან სულიერ მამასთან საუბარში; ის ანგარებიან ანგარიშებში იქნება, შენ კი - თავგანწირვაში. ის ვნებიან ოცნებებში იქნება, შენ კი - საღმრთო ფიქრებში, ამგვარად, ყველაფერში ეკლესიის კანონები დაიწერე და ამა სოფლის ჩვეულებათა საწინააღმდეგო ცხოვრების წესი შემოიღე... წმინდა მარიამის (ეგვიპტელის) მიმბაძველი გახდები უდაბნოში წაუსვლელად“

წმინდამამებისეული გაგებით ჭეშმარიტი თავისუფლება ვლინდება ადამიანის, როგორც თავისუფალი არჩევანის მქონე პიროვნების შინაგან სამყაროში, საღაც მისი ნების გარეშე ვერ შეაღწევს ვერცერთი ძალა – კეთილი იქნება ის, თუ ბოროტი. მხოლოდ პიროვნებაზეა დამოკიდებული საკუთარ თავში მოქმედებისათვის ვის დაუთმობს ადგილს – ღმერთს თუ ეშმაკს. ამ არჩევანს კი, ყოველთვის ესქატოლოგიური დატვირთვა აქვს, რადგან კაცობრიობის ისტორიის სვლა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გზით ივლის ცალკეული პიროვნება – სიცოცხლის თუ სიკვდილის.

მატერიალისტური ძალადობა საკუთარ სინდისზე და რელიგიურ მრწამსზე არა კაცომოყვარეობის და დიდი სულიერების გამოვლინებაა, არამედ პრაგმატიზმის ყველაზე მძიმე, ულირსი ფორმაა. მსოფლიო დიდი მოძღვარი, წმ. იოანე ოქროპირი ბრძანებს: ”მე ვამჯობინებდი, ათასობით ეშმაკეულთან მქონოდა საქმე, ვიდრე თუნდაც ერთ ვერცხლისმოყვარესთან, რამეთუ არცერთ ეშმაკეულს არ ეყოფა კადნიერება იმისათვის, რაც იუდამ ჩაიდინა“.

როდესაც დემონური ძალები თავს ესხმოდნენ ელესიას, დეგნიდნენ და ატერორებდნენ მას, მდევნელთა ნების მიუხედავად ეს ფილტრაციას ემსახურებოდა, როგორც ოქრო გამოიწრობა ცეცხლში, ასევე ამ ცეცხლოვანი განსაცდელებით ეკლესიის მტრები თვითონვე წმენდონენ მას.

ერთი ეკლესიას უყურებენ, როგორც საექსპერიმენტო ველს და იმის მაგივრად, რომ ეკლესიისაგან ისწავლონ, აქეთ ასწავლიან მას. მეორენი წარმოგვიდგებიან როგორც ეკლესიის დიპლომატები, მესამენი ეკლესიაში ვაჭრობით არიან დაკავებულნი მეოთხენი იკმაყოფილებენ საკუთარ პატივმოყვარეობას და ა. შ.

როდესაც სადგურზე აცხადებენ რომ საჭიროა ერთიდან მეორე მატარებელზე გადაჯდომა, მაშინ ყველაზე სწრაფად გარბიან და ბაქანზე მოხერხებულ ადგილს იკავებენ ისინი, ვისაც ცარიელი ბარგი აქვს.

ვფიქრობ, ბევრი მათგანი, რომელთაც ამასწინათ ჩვენ დაგვტოვეს და წავიდნენ უსჯულოების სანახაობებზე, დღეს იმყოფებიან ეკლესიაში. მე შსურს მათი დანაძვილებით ცოდნა, რათა ისინი განვდევნოთ წმიდა საკრებულოდან არა იმისთვის, რომ სამუდამოდ დარჩნენ მის გარეთ, არამედ რათა გამოსწორდნენ და შემდეგ კვლავ შემოვიდნენ აქ.

”არა კეთილ არს მიღებად პური შვილთაგან და დაგებად ძაღლთა“.(მათე 15-26)

უფლის მიერ წარმოოქმული ეს სიტყვები ჩვენ მხოლოდ სარწმუნოების მკაცრ გამოცდად გვეჩენება. ქანანელმა გაუძლო ამ მკაცრ გამოცდას და მისი თხოვნაც შესმენილ იქნა, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ამ სიტყვებიდან კიდევ სხვა აზრის გამოტანაც, რომელიც ასევე მორჩილებით უნდა მივიღოთ და გავიგოთ.

შვილებისათვის განკუთვნილი პური არის – მიწიერი ცხოვრების დრო, ლვთისგან ბოძებული შვილი არის – სული ადამიანისა, ხოლო ძაღლები – ყოფითი საქმეებია, ანუ ის, რაც მიმართულია მხოლოდ მიწიერისაკენ და ეპუთვნის მას. ჩვენ გამუდმებით ვართმევთ ლუქმას ჩვენს შვილს – სულს, ვტოვებთ მას მშეირს, მისულს სიკვდილის პირას და ამ ლუქმას ვუგდებთ გაუმაძღარ ძაღლებს – მიწიერ გრძნობებსა და ვნებებს. საზრუნავი და საფიქრალი, როგორც ძაღლები ხან ლაქუცით, ხან კი მწარე კბენით გარემოგვიცავენ ჩვენ. მუდამ თან გვდევს ეს გაუმაძღარი ხროვა და უოველოვის გვტოვებს წაგებულს – რაღაც სიცარიელის, სულიერი ბანკროტის მდგომარეობაში. არასოდეს გვყოფნის დრო სულის მისახედად და თავის მოტყუებით ვცდილობთ დავიმშვიდოთ სინდისი: ”მხოლოდ ცოტა მოვაწესრიგებ ჩვემს საქმეებს, და მერე დავიწყებ ეკლესიურ ცხოვრებას“, მაგრამ ეს საქმეები არათუ კლებულობს, არამედ მხოლოდ მრავლდება.

Святой Антоний Великий

наступят времена, когда люди будут безумствовать и, если увидят кого не безумствующим, восстанут на него и будут говорить: "Ты безумствуешь" , – потому что он не будет на них похож.

старец Паисий

"хуже всего то, что нынешние люди, повально увлекаясь грехом и видя, что кто-то не следует духу времени, не грешит, имеет капельку благоговения, – называют его отсталым, ретроградом. Таких людей задевает, что кто-то не грешит. Грех они считают прогрессом. А это хуже всего. Если бы современные, живущие в грехе люди по крайней мере это признавали, то Бог помиловал бы их. Но они оправдывают то, чему нет оправдания, и поют греху дифирамбы. А считать грех прогрессом и

говорить, что нравственность отжила свой век, – это, кроме всего прочего, самая страшная хула на Святого Духа".